[illegible]

# ოდიში

91
სამშაბათი
6
აგვისტო
№93 (10486)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ბუნება —ყველას საზრუნავი

## ზენაარო, შენ გადმოხედე საქართველოს!

ძაილალა დედამიწა, არაქათი გამოეცალა. დაილალა ქვემეხებისა და რაკეტების აფეთქებათა ხმაურით, ატომური ომების მოლოდინის შიშით. დაილალა ტექნოკრატიული ურჩხულებით, შიდსით.

დღეს მსოფლიოს მეცნიერები ამტკიცებენ, თუმცა ამას რაღა დამტკიცება უნდა, ჩვენც ვხედავთ კარგად, რომ ბუნება უკან, უკან იხევს, თავის სახეს კარგავს, ხელიდან გვეცლება. და თუ კიდევ გააგრძელებენ ადამიანები ჯკაროსნულ ლაშქრობას მის მიმართ, ისინი თავად დაღუპავენ პლანეტას.

იმ წარსულმა, იმ ფუჭი ლაპარაკისა და ტაშის გრიალის წლებმა დაგვიტოვეს ივარქმნილი, გაჩანაგებული გარემო. ცხოვრების იმ წესმა არა მარტო ჩვენ გვავნო ადამიანებს, არა მარტო ჩვენ გვაქცია რობოტებად და შეგვილახა თავმოყვარეობა, არამედ ბუნებაზეც „მიიტანა იერიში", ბუნებაც გატეხა. ბუნებაც, რომელზეც ერთი საოცრად ტევადი სიტყვით უთქვამს პოეტს „მბრწყინვალეა", ადამიანებმა კი ბუნებას დაუწყეს მბრძანებლობა. და არც მან დაგვინდო. ზვავებით, მეწყერებით, მიწისძვრებით, წყალდიდობით დაგვიბრუნდა წლების მანძილზე „ნაშრომ-ნალვაწი". ღია ცის ქვეშაა ასობით ოჯახი, დაზარალდა ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი ნიადაგი.

„ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სული და გული, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე", —ასე საუკუნის წინათ წერდა დიდი ილია წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ"?

ახლა ჩვენ რა გითხრათ, ძვირფასო მკითხველებო, რით გაგახაროთ. არა გვაქვს ის ტყე და ის მინდორი. წყალიც დაგვიბინძურდა, ქუჩებიც დაგვანაგვიანეთ, მიწაშიც შხამ-ქიმიკატები ჩავყარეთ, არც მაერია ის მაერი. და მოვთქვამთ ასე: „დარდო, კვლავ გრძელდება დავა შენთან, ვიცი, რა მახეშიც გავები, იადონი უკვე გადაშენდა, ყვავები მოგვიმრავლდნენ. ყვავები. სათქმელს მიძაგძაგებს ცხრა იარა, ჰკნება მოწყვეტილი ყვავილი—აშკარა მტკვარმა აშკარად ჩაიარა, ახლა მღვრიე მტკვარიც ჩაივლის". ისევ და იხევ ჩვენი დაუდევრობა, ჩვენი გულგრილობაა თავი და თავი.

მიუვალი მთები, ხილიკები, პირგამეხებული მდინარეები, წყაროები, გაუვალი ტყეები... ყოველივე ამანაც გაგვამარჯვებინა ჩვენ ურიცხვ მტერზე. ყოველივე ამანაც მოგვატანინა დღევანდელობამდე ჩვენი არსებობა. და თუ ამ ღვთითბოძებულ საუნჯეს არ გავუფრთხილდებით, არ მივხედავთ, მომავალს რა აზრი ექნება. ან ის სანუკვარი თავისუფლება რად გვინდა, თუ საქართველოს მაგივრად უდაბნო დაგვრჩა.

მადლობა ღმერთს, რომ დღეს ყველა გასაჭირზე თამამად და გაბედულად ვლაპარაკობთ. მადლობა ღმერთს, რომ საზოგადოების ნაწილსაც კარგად აქვს გათვითცნობიერებული ეკოლოგიური პრობლემა. საქართველოს მწვანეებისა და მისი რაიონული ორგანიზაციების საქმიანობაც ამას გვიდასტურებს.

მოდით. უფრო მეტი კონკრეტული, ძალღვიანი საქმეებით ვუპასუხოთ მშობლიურ ბუნებაზე ზრუნვას. გზა გადავუჭრათ ბრაკონიერებს—ტყის მჭრელებს. ირემზე მონადირეებს. სამშობლოს სიყვარულზე ჩამოაგდებ საუბარს თუ არა, პირველობაშიც რომ შეგეცილებიან. არ მოვწყვიტოთ თეთრი გვირილა, არ მოვკლათ შველი. დავტოვოთ გარემო ისეთი, როგორიც არის, როგორიც შექმნა ის შემოქმედმა, ან ვიმეგობროთ. ვითანამშრომლოთ მასთან.

ზენაარო, შენ გადმოხედე კეთილად საქართველოს ბუნებას.

## ქრონიკა, ინფორმაცია

გაიმართა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია. სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის მიზანია სამეგრელოს ყველა რაიონის მწვანეების გაერთიანება, რაც შეიძლება მეტი სოლიდარობა, მეტი თანამშრომლობა, ერთობლივი ზრუნვა რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობისათვის. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაცია არანაირად არ ზღუდავს რაიონული ორგანიზაციების უფლებებს. ის იქნება არა ზემდგომი ორგანიზაცია, არამედ მაკოორდინირებელი. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს კოორდინატორად აირჩიეს ბეჟან გუნავა.

* * *

მძიმე კლინიკური ნიშნებით ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს სოფელ რუხის 30 მცხოვრები. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგად ავადმყოფებს აღმოაჩნდათ კვებითი ტოქსიკოინფექციური დაავადება სალმონელოზი. როგორც დადგინდა ნაწლავური ინფექციის გამომწვევი მიზეზი იყო დამუშავების შემდეგ გაბინძურებული ხორცი. ქალაქისა და რაიონის საავადმყოფოების მედპერსონალის დიდი დამსახურებაა ის, რომ დაავადებას სერიოზული გართულება არ მოჰყოლია. მკურნალობა დღესაც გრძელდება.

* * *

მწვანეთა მოძრაობის სოფლ...

მეურნეობის კომისიის მიერ შემოწმდა ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრის მდგომარეობა. ბაზრის ტერიტორია ანტისანიტარიის კერად არის ქცეული. ბაზრის ხელმძღვანელობა უჩივის იმას, რომ არა ჰყავთ მუშები, არ არის საკმარისი რაოდენობით სანაგვე ყუთები, ნაგავსაყრელი მანქანა, რაც უშუალოდ კომუნალური სამსახურის კომპეტენციაში შედის. არადამაკმაყოფილებელია ბაზრის აგროქიმიური და ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიების მუშაობა. შემოწმების შედეგად ბევრს არ აღმოაჩნდა სერთიფიკატი. ან თუ ჰქონდათ ვადა გასული. როგორც ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიის გამგემ ლია ჯღამაძემ თქვა მუშაობაში ხელს უშლით მოძველებული ხელსაწყოები. არა აქვთ რეფრაქტომეტრი, ლაქტოდენსიმეტრი, ხანკრი აქტივანტი ლეტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

2 აგვისტოს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სესიის დღის წესრიგის საკითხთა განხილვის დაწყების წინ სხდომაზე გაკეთდა განცხადება სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის საქმიანობის თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონთა პაკეტი—ეროვნული ბანკის შესახებ, ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ, რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ, დადგენილება მათი სამოქმედოდ შემოღების შესახებ. შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს რესპუბლიკის კანონის პროექტი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ და მიიღეს იგი მეორე მოსმენით. პირველი მოსმენით მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონები მოქალაქეთა რესპუბლიკის პოლიტიკური გაერთიანებებისა და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ.

სესიაზე მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ, დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

პარლამენტარებმა გადაწყვიტეს შეაჩერონ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილების მოქმედება ამ ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ბანკისა და საბანკო ურთიერთობის შესახებ, წინადადებით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მხარი დაუჭიროს ამ გადაწყვეტილებას.

მიღებულია უზენაესი საბჭოს დადგენილება ჯავის რაიონისა და ცხინვალში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, აგრეთვე დადგენილება სიღნაღისა და მესტიის საარჩევნო ოლქებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების გამართვის ვადების გადატანის თაობაზე.

მიღებულია უზენაესი საბჭოს დადგენილება ნოდარ წულეისკირისა და არკადი მარკოზიას სადეპუტატო უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ. ვადამდე შეწყვეტილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების თენგიზ კიტოვანისა და იოსებ ბარათაშვილის, აგრეთვე შალვა ჭინჭალაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილებანი.

უზენაესმა საბჭომ მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას, გადასცეს საქართველოს იურისდიქციას ამიერკავკასიის ტერიტორიული მართვისადმი დაქვემდებარებული სტრატეგიული მატერიალური რეზერვები.

განყოფილებაში „სხვადასხვა" სესიაზე აღძრეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ცალკეული საკითხები.

დღის წესრიგის ზოგიერთი საკითხები გადაიდო.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის

## კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121 პრიმა 4 მუხლის მე-13 პუნქტში სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებების" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

# ბუნება მბრძანებელია...

„მე ვარ დედა, მშობელი ყველასი, რაც კი თვალით ჩანს, თუ არა ჩანს. ყველას ჩემს კალთაზე უძევს თავი, ყველა ჩემით სულდგმულობს, არსებობს, საზრდოობს. გარეშე ჩემსა სულ პატარა მწერსაც კი სული ამოხდება. ამიტომაც არის რომ დედას მიწოდებს ყოველი არსი, ვამაყობ ჩემის თავით, ჩემის სახელით“.

ვაჟა-ფშაველა

## საქმემან თქვენმან გამოგაჩინათ თქვენ...

მიმდინარე წლის 18 ივლისს გაზეთ „ოდიშში“ წავიკითხე ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ გია ხუბულავას წერილი: „ზუგდიდის მწვანეებო, აქციებით საქმეს ვერ უშველით“!

წერილი საერთოდ ბუნდოვანია. ვის წინააღმდეგაა ის დაწერილი, ძნელი გასარკვევია. ერთი კი ცხადია: წერილის ავტორი ილუზიების ტყვეობაშია და მისი მსჯელობა ყოველგვარ ლოგიკურობასაა მოკლებული. ავიღოთ ერთი მაგალითი, სადაც ის ამბობს: „ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტი არ არის ვალდებული ანგარიში ჩააბაროს მწვანეთა მოძრაობის საზოგადოებას“. ქვევით კი: „ბატონო ზუგდიდის მწვანეებო! თქვენ არც კი გაინტერესებთ, თუ რა გვიჭირს და რაში გვინდა თქვენი მხარში ამოდგომა“. სადაა აქ ლოგიკა?

6 ივლისის გაზეთ „ოდიშის“ ღია წერილში ასე წერია: „იმ სამსახურების მუშაკებმა, ვისაც კი დანაშაულებრივი მოქმედების აღკვეთა და კონტროლი ევალება, დღემდე არაფერი გვაცნობა იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას ისახავენ ისინი ახლო მომავალში“. ჯერ ერთი და „იმ სამსახურის მუშაკებში“ იგულისხმება არა მარტო ბუნების დაცვის საზოგადოება, არამედ ქალაქის კომუნალური განყოფილება და წყალკანალის მეურნეობაც. და ამ მეურნეობათა სახელითაც რატომ გვპასუხობს ბატონი გია? და კიდევ: მწვანეთა მოძრაობას თქვენთვის ანგარიშის ჩაბარება კი არ მოუთხოვია, არამედ ცნობა-ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რის გაკეთებას ისახავენ მიზნად მომავალში ზემოთ მითითებული ორგანიზაციები. ჩვენ ნავარაუდები გვქონდა ერთობლივი მუშაობის კონკრეტული გეგმა.

გაშიშვლებული ამპარტავნობა!! სხვა რა დაერქმევა იმას, როცა ამბობთ: „ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტი არ არის ვალდებული ანგარიში ჩააბაროს მწვანეთა მოძრაობის საზოგადოებას“-ო.

თქვენ, ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტი თუ არ თვლით თავს ვალდებულად, ცნობის სახით მოგვაწოდოთ თქვენი მუშაობის შედეგები, მაშინ ჩვენ გაიძულებთ, თქვენი მუშაობის შედეგები მოახსენოთ საზოგადოებას, პრესით თუ სხვა საშუალებით!

უფრო მეტიც. როცა თქვენ ამბობთ: „ბატონო ზუგდიდის მწვანეებო! თქვენ არც კი დაინტერესებულხართ თუ რა გვიჭირს და რაში გვინდა თქვენი მხარში ამოდგომა“, მე გიპასუხებთ — ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის მთლიან შემადგენლობას:

ჩვენ საკმაო ხანია დაგინტერესდით თქვენი „გასაჭირით“. გამოვთქვამთ სურვილს მხარში ამოგიდგეთ თქვენთვის ისეთ მძიმე გადაწყვეტილების მიღებაში, რომელსაც ზუგდიდის ბუნების დაცვის საზოგადოების თვითლიკვიდაცია ჰქვია.

...თვალში ეპატარავება ბატონ გია ხუბულავას თურმე მწვანეთა მოძრაობა. კარგი და პატივსაცემი გია ბატონო, მაგრამ ჩვენ, მწვანეთა მოძრაობას გვაქვს უფლება მოვკითხოთ ბუნების დაცვის საზოგადოებას: თუ რატომ ნადგურდება საქართველოს ფლორა და ფაუნა! ეკოლოგიური თვალსაზრისით რატომ ბინძურდება მდინარეები, ტბები, ზღვა და ჰაერი! ჩვენ გვაღელვებს თქვენი საზოგადოების მოუქნელობა, უსუსური არგუმენტებით სხვა-თათვის ხაქმის გადაბრალების, სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩაყოფის ფილოსოფია და ა. შ.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ გვიპასუხოთ ჯეროვნად სამ შეკითხვაზე: 1. რა ზომები მიიღო ბუნების დაცვის საზოგადოებამ რომ არ გაჩეხილიყო ათასობით ჰექტარი ტყე სოფლების: დიდინეძის, ორულუს, ერგეტის, კიროვისა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე? ამასთან სად გაქრა ასეულათასობით კუბამეტრი ხე-ტყე? ვის მიეყიდა ის და თანხა ვის ჩაერიცხა? 2. არის თუ არა თქვენთვის ცნობილი იმ განუკითხაობის დროს ვინ გაანადგურა მასიურად ტყის ქათამი, შველი, ხოხობი, გარეული ღორი და სხვა. თუ კი იცოდით რატომ არ აძლევდით ჩხუბს. რომელი კორუმპირებული პირი ამხილეთ პრესისა და რადიოს მეშვეობით? 3. განა თქვენთვის უცნობი იყო უკანონო კარიერები? კი მაგრამ, რომელსაც გაიგეთ თუ ვინ გახსნა უკანონოდ ესა. თუ ის კარიერი, ეს იქნებოდა კერძო პირი თუ ორგანიზაცია—რატომ არ აიძულეთ ისინი ამოევსოთ საკუთრო ბალანსით ესა თუ ის კარიერი?

თქვენ იტყობინებით, რომ მავან და მავან ორგანიზაციებს აჯარიმებთ, მაგრამ ის კი გავიწყდებათ (შეგნებულად) რომ ეს ჯარიმები მშრომელებს აწვება და არა ბიუროკრატ ხელმძღვანელებს. დღეს არვინ, არაა ბრმა და ყველას კარგად მოეხსენება ჯარიმის აქტების შედგენის ცერემონია. ამ „ჯარიმიზაციას“ „მარცხენა შემოსავლის“, ძლიერი სუნი უდის. ხომ ასეა?

საერთოდ, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებამ საქართველოს ბუნება კი არ დაიცვა, არამედ თავისი გულუბრყვილო ლიბერალიზმით, სრულ გადაგვარებისა და განადგურების პირას მიიყვანა საქართველოს ფლორა და ფაუნა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამაში ლომის წილი უდევს კომპარტიის ლიდერებს, რომლებთანაც მჭიდრო კონტაქტში იყო ბუნების დაცვის საზოგადოება. „ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტი არ არის ვალდებული ანგარიში ჩააბაროს მწვანეთა მოძრაობის საზოგადოებას, ხოლო თუ რას ვაკეთებთ და რა ღონისძიებები გვაქვს დასახული, ამაზე ჩვენ მოვახსენებთ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურას“, იტყობინებით თქვენ. ჩვენთვის რა თქმა უნდა, სრულიად საიდუმლოა, თუ რა მოახსენეთ თქვენ პრეფექტურას, მაგრამ პირადად ჩემთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს თქვენი მუშაობის სტილი. თქვენ პრეფექტურა აღმასკომებში ხომ არ გეშლებათ, ბატონებო!

საქმეს ისე ნუ წარმოაჩენთ პრეფექტურის წინაშე, რომ ვითომ ქვეყნის აყვავება გსურდეთ. თქვენმა საქმეებმა უკვე გამოგაჩინათ თქვენ!

ველოდი ფაცაცია,
საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის ტყისა და მდინარეთა დაცვის კომისიის თავმჯდომარე.

# როცა ზღვას არ სძინავს

(ნარკვევი)

წვიმდა იმ დილით ანაკლიაში. გვეგონა, ასწლოვანი მუხის ქვეშ თავშეფარებულებს წამოგვადგა შუა დღე. მხოლოდ მოგვიანებით იკლო წვიმამ, მერე ქარმა აქა-იქ შემორჩენილი ღრუბლის ქულებიც გადალალა და გამოჩნდა მოსარკული ცა.

აქ კვლავ ქრიან წარსული წლების ზმანებები. თითქოს კვლავ გესმის გოდება კოლხური „ვოი, ნანაია, ნანა“. თითქოს გარდასულიდან მომდინარე იდუმალი შუქი ანთია ისევ, ისეთი ძლიერი გაუმაჰკრავს ზღვის სანაპიროს, თუ იქვე, ენგურის ზღვასთან შეერთების ადგილზე აღმართულ ციხეს, მის სურომოდებულ გალავანს, თუ კედლებიდან მომზირალ საზარბაზნეებს და სათოფურეებს, ფეოდომორეულ ცაცხვს თუ უძველეს ბორანს.

ანაკლია... ჯერ კიდევ გვიანი ფეოდალური ეპოქის დასახლებათა შორის მოიხსენიება ის, როგორც „პატარა ქალაქი“. როგორც სანავსადგურო პუნქტი.

ანაკლია... ქართველი ერის ერთ ტრაგიკულ პერიოდზე ბევრის მეტყველია ეს სახელი. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ეწვია, თავის სამოგზაურო ჩანაწერებში ვრცლად გადმოგვცემს აქ დატრიალებულ ამბებს.

ანაკლია... მის სანაპიროებს ახსოვს ტყვედ გაყიდული ქართველი გოგო-ბიჭების სახეები, იქედან გაჰქონდა მოზღვავებულ მტერს თაფლი, სელი, ბზა.

ახლა არც მე-18 საუკუნეა, ჩვენდა საბედნიეროდ, არც შამქლუქთა რაზმების შესავსებად გამზადებულ ჭაბუკებს მოჰკრავთ თვალს, არც კოლხ ასულებს ჰარამხანების დასამშვენებლად რომ მიჰყავდათ. მაგრამ უამრავი პრობლემა, დარდი და სევდა მაინც არ გვშორდება, მაინც გვისერავს გულს.

დღეს საქართველოში ოქროს ფასი აქვს მიწას, ტყეებს, ბაღებს, სახნავ-სათესს. უტყეო და უბაღო საქართველო ქართველი კაცისათვის ხომ ტრაგედია იქნება. დიდი სატკივარია ჩვენთვის არაქართული საქმისთვის გამოყენებული ქართული მიწაც.

სოფელ ანაკლიაში 40 ჰექტარამდე სახნავ-სავარგულს, საბჭოთა არმიის სარაკეტო, სასაზღვრო და საჰაერო თავდაცვის ნაწილები დაპატრონებია. უცხოტომი დაპატრონებია ადგილებს, სადაც ახლაც მძაფრია დროთა კავშირის შეგრძნება, სადაც ყოველ წუთს იღვიძებს ხსოვნა წარსულისა. ჩვენ საბჭოთა არმიისაგან ბევრი მწარე მაგალითი გვახსოვს. ის, რაც დღეს ანაკლიაში ხდება, მისი კიდევ ერთი „...“. თვალთახედვით საათის განმავლობაში „ლოკატორების“ საშუალებით მიმდინარეობს ზემაღალი სიხშირის რადიოტალღების დასხივება, რაც დამღუპველად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, იწვევს ავთვისებიან დაავადებებს, ნერვული სისტემის მოშლას. რადიოტალღების სიხშირე ვრცელდება ახლომდებარე სოფლებშიც. ჯარისკაცები, რომლებიც სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიან ამ შიდამოებში, ალბათ, არც არასოდეს დაფიქრდებიან თავიანთ ნამოქმედარზე. არც იმ ვორონეჟელი ჯარისკაცის მჯერა, რომელსაც დღიურში ეს სიტყვები ჩაუწერია: „მშვენიერი ადგილია სამეგრელო, აქ ყველაფერი თვალს იტაცებს“... არ მჯერა, რადგან იგი მხოლოდ გარეგნულად არის მოხიბლული ამ მხარით. მასში ჩაცრემლილ სატკივარს კი შორიდან უყურებს. არ უნდა მისი გათავისება, გაზიარება. ისინი ხიზნები არიან. მოდიან და მიდიან. მოდიან და მიდიან. ან ვის იცავენ საერთოდ? ცოტნე დადიანისა და ბერი თევდორეს მიწას? დავით აღმაშენებლის მშობილ ხალხს?

ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეს. ჩვენ უნდა შემოვკრათ განგაშის ზარები, დღესვე, სანამ გვიან არ არის, სანამ დროა. სანამ ათასი საზრუნავით გულდამძიმებულებს ახალი არ მოგვმატებია. თორემ ცოტაც და მერე ვერაფერს გვიშველის მოთქმა და ტირილი. თავისუფალ საქართველოს ჯანსაღი მომავალი სჭირდება,

## ქრონიკა, ინფორმაცია

# დიალოგი ფაქტობრივად არ შედგა

23 ივლისს ქალაქ ზუგდიდში, ილია ჭავჭავაძის ბიუსტთან საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა ეკოლოგიური მიტინგი. მისი მონაწილეების მოთხოვნა იყო ანაკლიაში პორტის მშენებლობის შეწყვეტა. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწვანეების სპიკერი ზურაბ ჟვანია, მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ბეჟან გუნავა, ექიმი ზვიად თოლორაია.

—„ანაკლიაში პორტის მშენებლობა არ არის, ისეთი ადგილი და ლამაზი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს,— აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ. აქ უფრო შორსგამიზნული მიზანია. ზუგდიდელებო, თქვენ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძოთ და თქვენი ფანჯრებიდან დაინახოთ ნაგავგადასამუშავებელი ქარხნის შავი კვამლი. ჩვენ გვაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ ანაკლიის სანაპიროებს მოადგნენ გემები, რომლებმაც დაიწყეს ზღვიდან ხილის ამოღება და მისი გადაზიდვა (როგორც მუშებმა გვითხრეს) გელენჯიკში. არაერთარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ევროპის რადიაციული ნაგვის აქ შემოტანა და გადამუშავება. ამას ჩვენი შვილები არ გვაპატიებენ“...

იგივე აზრი გამოთქვა მიტინგის მონაწილემ, სტუმარმა, ბელგიის მწვანეების პრეზიდენტმა მარს ფალლემაიერტსმა: „ორი წლის წინ ჩვენს ქვეყანაში იყო ამერიკის ნაგავის იმპორტირების ცდა. ვწუხვარ, რომ ახლა ამის განხორციელება უნდათ საქართველოში. მწვანეები უნდა აღუდგნენ ამას,—თქვა მარს ფალლემაიერტსმა ჩვენთან საუბარში.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მწვანეები შეხვდნენ სოფელ ანაკლიის მოსახლეობას. მძიმე და დაძაბული ატმოსფერო სუფევდა შეხვედრაზე. სოფლის მოსახლეობა, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს პორტის მშენებლობას. წინააღმდეგი იყო მოსმენისას კი. დიალოგი ფაქტიურად არც შემდგარა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბოლოს მიღწეული იქნა შეთანხმება იმაზე, რომ ეს საკითხი დააყენონ სამთავრობო დონეზე და ხალხს, მოსახლეობას მიაწოდონ სწორი ინფორმაცია, რა შენდება ანაკლიაში და რა მიზნით.

გვერდი მოამზადა ჟურნალისტმა მარინა ჯონჯუამ

### ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ფასიანი სწავლების ფორმა არა ერთმა სახწავლებელმა ჩათვალა, არამც თუ მისაღებად, არამედ სადღეისოდ უკვე მრავალი სასწავლო დაწესებულება გადადის ან იქმნება ამ ბაზაზე. განსჯა სწავლების ახეთი ფორმისა მრავალგვარია და იგი მკითხველისთვის მიგვინდია. ფასიანი სწავლება კი კვლავ დღის წესრიგშია. ახლახან შეიქმნა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი. ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდში ჩამოვიდნენ ინსტიტუტის რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვაჟა ქარჩავა, ინსტიტუტის მთავარი ფინანსისტი თეიმურაზ ჩანტლაძე, თბილისის სამგორის რაიონის საკრებულოს განმგებლის მოადგილე სოსო დანელია.

ინტერვიუ ვთხოვეთ ინსტიტუტის რექტორს ვაჟა ქარჩავას:

## ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲬᲧᲣᲠᲘᲐ

—უპირველესად, ვთხოვთ გაგვაცნოთ, რას წარმოადგენს თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი.

—თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი გაიხსნა ივლისის თვეში საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. მართალია, სწავლების ფორმა ფასიანია, მაგრამ თვითონ ინსტიტუტის სპეციფიკა იმდენად განსხვავდება სხვა ფასიანი სწავლების ფორმისგან, რომ თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის შექმნით სრულიად ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულება დაფუძნდა. ინსტიტუტში შემსვლელებს განსაკუთრებით მიიზიდავს ის თავისებურებები, რაც განასხვავებს მას სხვა ფასიანი სასწავლო დაწესებულებისგან. პირველ რიგში, აღსანიშნავია ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ცალკეული ლექციების ჩატარება ღვთისმეტყველებაში, მეტყველების კულტურასა და ლოგიკაში. შეტანილია კომპიუტერული სწავლება 4 წლის განმავლობაში. ყმაწვილები შეისწავლიან ალმოსავლური ბრძოლების ელემენტებს, გოგონები გაივლიან სამედიცინო მომზადების კურსებს.

აუცილებლივ შეისწავლება ერთი ან ორი უცხო ენა, რაც მოიცავს ინსტიტუტში სწავლების 4 წელიწადს. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სტუდენტები პრაქტიკის მისაღებად საზღვარგარეთ გაიგზავნებიან, რაც კატეგორიულად გამორიცხავს უცხოეთში „გამგზავრების" ენის დაუფლების მიზნით. სტუდენტები გაიგზავნებიან მხოლოდ და მხოლოდ ერთი მისიით — არჩეულ სპეციალობაში საფუძვლიანი კვალიფიკაციის მისაღებად.

—სპეციალობები ახსენეთ... რა სპეციალობების სწავლება აქვს განზრახული თქვენს ინსტიტუტს?

—ვიდრე ინსტიტუტის მიერ გათვალისწინებული სპეციალობების ჩამოთვლას შევუდგებოდე, აღვნიშნავ, რომ სწავლება განხორციელდება დღისა და საღამოს განყოფილებებზე, რაზეც დიდად არის დამოკიდებული სპეციალობების განაწილება. კერძოდ, საღამო სწავლების განყოფილებაზე დაეუფლებიან შემდეგ სპეციალობებს:

1) საგარეო—ეკონომიკური ურთიერთობანი (ქართული და რუსული სექტორი), 2) საბირჟო საქმე (ქართული და რუსული სექტორი), 3) ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები (ქართული და რუსული სექტორი), 4) ტურიზმის ეკონომიკა ორგანიზაცია და ფინანსები (ქართული და რუსული სექტორი), 5) საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები (ქართული და რუსული სექტორი). დღის განყოფილებაზე გარდა ჩამოთვლილი სპეციალობებისა ემატება, 6) საბანკო საქმე და ფულის მიმოქცევა, 7) მენეჯმენტი და მარკეტინგი, 8) განათლების ეკონომიკა, ორგანიზაცია, ფინანსები. 9) საკურორტო საქმისა და სასტუმრო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები, 10) ისტორია. ამასთან „ისტორიის" სპეციალობა მოიცავს სამ ქვესახეს: საქართველოს ისტორიას, რელიგიის და კულტურის ისტორიას.

—ბატონო ვაჟა, ინტერესმოკლებული არ იქნება ინფორმაცია ინსტიტუტში მიღების შესახებ...

—გასაუბრებაზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები მოუხედავად ასაკისა. ფულის გადახდა ხდება იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ განყოფილებას აირჩევს: დღის განყოფილებაზე — 4500 მანეთი, საღამოზე — 4000 მანეთი. სტუდენტებს ექნებათ მტკიცე გარანტია საფუძვლიანი ცოდნის დაუფლებისა, რის თქმის უფლებას გვაძლევს ინსტიტუტში მოწვეული სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები...

გარდა ამისა, ინსტიტუტი უფასოდ რიცხავს აბიტურიენტებს ბავშვთა სახლებიდან, მრავალშვილიანი ოჯახებიდან, I და II ჯგუფის ინვალიდებს ლიმიტის ფარგლებში. სწავლების ფრიადოსნები და წარჩინებულნი მიიღებენ სტიპენდიას.

—რა საერთო აქვს ინსტიტუტსა და მათ მესვეურთა ჩამოსვლას ზუგდიდთან?

—რექტორატმა გადაწყვიტა ქალაქში შეიქმნას თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ზუგდიდის მოსამზადებელი ფაკულტეტი. ამის თაობაზე ვესაუბრეთ ქალაქის პრეფექტს თ. ქორქოლიანს, რომლისგანაც მივიღეთ თანხმობა, რომ 1 დეკემბრიდან ქალაქში გაიხსნას ხსენებული ინსტიტუტის მოსამზადებელი ფაკულტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საუკეთესო მასწავლებლებით. ამჟამად, მიმდინარეობს დეკანის კანდიდატურის შერჩევა, ასევე ნორმალური სასწავლო შენობისა.

—როგორ წარიმართება სწავლის პროცესი ზუგდიდის მოსამზადებელ ფაკულტეტზე და რაში გამოიხატება ურთიერთობა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტთან?

—ზუგდიდის მოსამზადებელ ფაკულტეტზე მომზადდება 50-მდე მსურველი. სწავლა გაგრძელდება 7 თვის განმავლობაში. სწავლება იქნება დღის მეორე ნახევარში. მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტებს ექნებათ საშუალება გაიღრმავონ ცოდნა შემდეგ საგნებში: ქართული ენა-ლიტერატურა, უცხო ენა, საქართველოს ისტორია, მათემატიკა. ფაკულტეტის მუშაობას კონტროლს გაუწევს თბილისის ინსტიტუტი. და რაც მთავარია, ბოლოს ჩატარდება გამოსაშვები გამოცდები, რის შედეგადაც გადაყვანა მოსამზადებლიდან თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში მოხდება ყოველგვარი გასაუბრების გარეშე.

დამატებითი ცნობებისთვის მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. №55, 78-ე საშუალო სკოლა (მეტრო „300 არაგველი").

ტელ.: 74-21-92.

—წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა რუსიკო მიქენაია

თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

## ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲘᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ

რუხის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკები იჯარული მეთოდით მუშაობენ. შრომის ამ პროგრესული მეთოდის დანერგვამ შედეგი გამოიღო. მესაქონლეები მეტ მონდომებას იჩენენ საქმისადმი. გაიზარდა მწველავების მედიკო გულუას, იზო გულუნიძის, მინდა ხვიტიას და სხვათა შრომის ხაზღაური. თითოეული თვეში 800-მდე მანეთს ღებულობს.

დღემდე 230-დან წარმოებულია 163 ტონა რძე. სრულდება ხორცის წარმოების დავალებაც.

მოიჯარე მეცხოველეთა წარმატებაში არის ზოოტექნიკოსის ანზორ ცვარაცხელიას წვლილი. ქებას იმსახურებს ბრიგადირი ქალი ხუნტა ლაგვილავა. იგი სამ ათეულ წელზე მეტია მონდობილ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებს.

ნაყოფიერად შრომობენ საკავებმომპოვებელთა ბრიგადის წევრებიც, რომელთაც გიორგი ფარცვანია ხელმძღვანელობს. ისინი კოლმეურნეობის საქონელს ამარაგებენ მწვანე საკვებით.

ბრიგადის წევრებს ბევრი საზრუნავი აქვთ, მათ დაამზადეს 180 ტონა სენაჟი. 15 აგვისტოდან დაიწყება და სასილოსე კოშკებში ჩაიდება 1500 ტონა მწვანე მასა. მოითიბება 300 ტონა საკვები ბალახები.

მოიჯარეები ცდილობენ გაუმჯობესონ პირუტყვის მოვლა, მცირე დანახარჯებით აწარმოონ რაც შეიძლება მეტი რძე და ხორცი.

გ. თორია.

### ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲮᲛᲐᲛᲐᲚᲚᲐ

## იცით, რა მითხრა?

ეს წერილი დამაწერინა გაზეთ „ოდიშის" 25 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა ჟურნალისტ კლარა ფარჯიაშვილის წერილმა „სანამ პავლე მოვიდოდა".

ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია ტელევიზიით კომპეტენტური პიროვნების გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ კომერციულ მაღაზიებს მეტი გასაქანი უნდა მიეცეს და არავითარი შეზღუდვა არ უქნებათ მოთავაზებაშიც მათი განცხების მსურველებსო. მაგრამ მე მაკვირვებს ერთი რამ: რა სარგებლობას მოუტანს გაღამეყიდველის გადამყიდველი, ეგრეთწოდებული კომერსანტი, სუფთა ხელფასზე მყოფ ადამიანებს, რომელთა საშუალო თვიური ხელფასი 300-400 მანეთზე მეტი არ არის, ხოლო ეს თანხა მას ერთ ხაზრობაზე თუ ეყოფა ხუთსულიანი ოჯახისათვის კვირის სამყოფი პროდუქტების შესაძენად...

ამას წინათ ბაზარში შევედი სიმინდის საყიდლად, სადაც ფუთ ანუ 16 კილოგრამ სიმინდს აფასებდნენ 20-25 მანეთად. შევეკამათე ალაფ, მშრომელ გლეხს (ღმერთმა დალოცოს მათი მარჯვენა). და მან, იცით, რა მითხრა? — ნუთუ ერთი ფუთი სიმინდი ერთი კილოგი „მაკარონი"-ის ღირსი". ეს ხომ ხაუკეთეო კომერციულ მაღაზიებში 20-25 მანეთად იყიდება, ხოლო ზუგდიდის ვაჭრობის სამმართველოს მაღაზიებში ზოგან 17 და ზოგან 18 მანეთად.

გლეხკაცის ნათქვამით გაოგნებული შევბრუნდი და სიმინდის შეუძენლად სახლში წავლასლასდი, რადგან მან მე მართალი მითხრა...

აქ მე მინდა შევეკითხო იმათ, რომელთაც ეს საკითხი ეხებათ: ვის აქვს დღეში 20-25 მანეთი სიგარეტის საყიდლად და ზოგჯერ კი 40-50 მანეთი (არიან ისეთებიც, რომლებიც 2 კოლოფსაც მოსწევენ)?! ალბათ იმათ, რომლებმაც კომუნისტური რეჟიმის დროს ხელი ზედმიწევნით კარგად მოითბეს და დღესაც საქმოსნები არიან.

ვფიქრობ, ამ და სხვა მსგავსი საკითხების უგულებელყოფა ვერავითარ სარგებლობას მოუტანს ახალ ხელისუფლებას. ამიტომ საჭიროა მშრომელთა გულისშემაღონებელ დარღვევებს დროულად მოევლოს.

ი. მებონია,

შრომის ვეტერანი.

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲝᲓᲘᲨᲡ"

## ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ!

ვცხოვრობ მარტო, მეუღლე გარდაცვლილა, შვილი ოჯახით თბილისში ცხოვრობს. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის გაზეთები ბევრად მეტს ნიშნავს ვიდრე სხვისთვის. ამიტომაც, გაძვირების მიუხედავად, არ დამნანებია ფული და მთელი წლით გამოვიწერე გაზეთები: „ოდიში", „საქართველოს რესპუბლიკა", „ახალგაზრდა ივერიელი", „ლიტერატურული საქართველო", „ლელო", „ეთერშია საქართველო". მაგრამ უბედურება ისაა, რომ ფოსტალიონი ათ დღეში ერთხელ მოდის ჩვენთან, მოგვიტანს ათი დღის გაზეთების დასტას (ხშირად ნაკლულადაც) და მერე ერთ ამდენს კიდევ გვალოდინებს. ასე გრძელდება მთელი წელიწადი.

გულით ავადმყოფი, 76 წლის კაცი რამდენჯერმე მივედი საფოსტო განყოფილებაში და მის უფროსს დახმარება ვთხოვე, მაგრამ მას არაფერი უღონია საქმის გამოსასწორებლად, ფოსტალიონები არა გვყავსო. ესეც რომ იყოს (ერთმა ფოსტალიონმა მითხრა, რომ ფოსტალიონები კი ჰყავთ, მაგრამ ზოგი მათგანი ხელფასის უწყისზე აწერს მხოლოდ ხელს და სხვას არაფერს აკეთებსო), მე რა დამავე; მე ხომ ფოსტასთან პირნათლად ვარ, ხომ ვუხდი გაზეთების მოტანის ფულს, გამოწერის დროს გადახდილი ფულის ნაწილი ხომ ჩას ერიცხება?!

პატივცემულო რედაქციავ! თქვენი იმედია მაქვს, რომ დამეხმარებით მოხუცებულ კაცს.

ფეოდოსი ხოჯოლავა,

ქ. ზუგდიდის წალენჯიხის №18-ში მცხოვრები.

კრიმინალური ქრონიკა

## შეძენა-შენახვისათვის

სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრებმა, ადრე ნასამართლევმა კარლო შალვას ძე ზარანდიამ 1990 წლის 6 დეკემბერს უკრაინის სსრ ქალაქ სუმის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე უცნობი პირისაგან შეიძინა ნარკოტიკული საშუალება — 302 გრამი ყაყაჩოს ფხვნილი და 16,2 გრამი კანაფი, რომლის გადამუშავებით მიიღება ნარკოტიკული ნივთიერება —12 გრამი ე. წ. „ანაშა". აღნიშნულ ნარკოტიკულ საშუალებებს იგი უკანონოდ ინახავდა როგორც უკრაინის, ისევე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტომანქანა „მოსკვიჩში".

7 დეკემბერს მან ღამე გაათია სოფელ ლესიჭინეში, ხოლო მეორე დღეს ჩავიდა ქალაქ წყალტუბოში მცხოვრებ გ. გ-ძის ოჯახში. უკან დაბრუნებისას, ღამით, კ. ზარანდია წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანევთან დააკავეს წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა, შეუმოწმეს ავტომანქანა, რომლის სალონშიც აღმოჩნდა მის მიერ გასაღების მიზნის გარეშე უკანონოდ შეძენილი და შენახული ზემოთაღნიშნული სახეობისა და რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებანი.

კ. ზარანდიამ აღიარა დანაშაული. ქალაქ წყალტუბოს სახალხო სასამართლომ (გ. ბერაძის თავმჯდომარეობით) მას განუსაზღვრა ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. ვიღებ ყურმილს და ვამბობ: გისმენთ, ბატონო!

ყურმილიდან რაღაც შარიშური, ენის წკლაპუნი თუ ბუტბუტი მოისმის და უცებ-ბავშვის ხმა:

—წყალი ალა გვაქვს, — ბიჭუნა, ალბათ, სამი წლისა თუ იქნება. მესმის, თუ როგორ კარნახობს ვიღაცა ქალი (ალბათ ბებია) სიტყვებს: უთხარი, ბიჭო, დაგვეხმარეთ-თქო...

ბავშვმაც არ დააყოვნა: — წყალი ალა გვაქვს, დაგვეხმარეთ!

თითქმის უკომენტაროდ

## „წყალი ალა გვაქვს.."

ბიჭუნამ ყურმილი დადო, ისე, რომ ვერ მოვასწარი რაიმე მეპასუხა.

სულშეწუხებულმა რედაქციის შენობის ფანჯრიდან გადავიხედე: აქედან კარგად მოჩანდა შემნახველი ბანკის წინ, ტროტუარზე დამონტაჟებული, ხახამშრალი წყლის ონკანი — ხალხი „ფანტანს" რომ ეძახის...

წარმოვიდგინე ამ გაგანია სიცხეში უწყლოდ დარჩენილი ოჯახის გასაჭირი, პაწია ბიჭის ვარდისფერი, შეწუხებული ბუნჩულა სახე და ტელეფონების წიგნს გადავწვდი. ვერა, ვერ დავუკავშირდი ქალაქის წყალკანალის სამმართველოს ხელმძღვანელობას. ან ჰქონდა კი რაიმე აზრი მათთან ტელეფონით შეხმიანებას?!

29 ივლისი იყო, ორშაბათი — წლის ყველაზე ცხელი დღე...

**ჯ. ჯაბადარი.**

გამოსათხოვარი

## მშვიდობით, ლალი!

გაფიქრებაც კი გვიჭირს, მაგრამ მწარე სინამდვილეს ვერსად გავექცევით. გაოგნებულნი და თავზარდაცემულნი ვდგავართ შენი ცხედრის წინაშე შენი მეგობრები და ენით უთქმელ ტკივილს განვიცდით.

**ლალი შოთას ასული ჯიქია** — 22 წლის ქალიშვილი, საამოდ ღიმილიანი სახე, ყველას სიყვარულით ანთებული გული, უამრავი ოცნებით ფრთაშესხმული — ასეთად დაგვამახსოვრდებოდათ იგი გაცნობისთანავე. ექიმის პროფესია ბავშვობიდანვე იტაცებდა ლალის. აკი ამ სიყვარულმა მიიყვანა იგი ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ახალბედა სპეციალისტი უშურველად ემსახურებოდა სოფელ რიყის მცხოვრებლებს. მაგრამ ნანატრი ოცნება პროფესიული სრულყოფისა უმაღლესი სასწავლებლისკენ უხმობდა მას და აი, სულ ახლახან აიხდინა წადილი — გახდა დნეპროძერჟინსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დიდი იყო მისი სიხარული, მაგრამ, ვაგლახ, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა იგი. ამ დღეებში ავტოკატასტროფამ შეიწირა ლალის ლამაზი სიცოცხლე.

მშვიდობით, ჩვენო ლალი; დასანანი ისაა, რომ შენი ცოდნა, ახალგაზრდული შემართება ისე ვერ მოახმარე ადამიანებს, როგორც შენ გსურდა. გჯეროდეს, რომ შენი სიყვარული კვლავაც იცოცხლებს შენი მეგობრების გულში.

**შენი მეგობრები.**

**რედაქტორი**
**ბ. ჭანტურია.**

ზუგდიდის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს **თემურ უბერს**, ექიმს **დოდო თორდიას** და მედდას **ზაირა გაბრავას** მადლობას ვუხდი გულისხმიერი და კვალიფიციური მკურნალობისათვის.

**მერი ჯოჯუა-კუკავა**

**ზუგდიდის პროფილურ-ექსპერიმენტული სკოლის დირექცია** აცხადებს მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეთა მიღებას ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკის პროფილზე.

მე-9 არაპროფილურ კლასში მოსწავლეთა მიღება იწარმოებს გასაუბრების სახით — 20 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

მისაღები გამოცდები ჩატარდება ამა წლის 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას — მისამართი: **კოსტავას ქ. 60.**

---

შვილი ნატო, და ნინა მალანია, სიძე აკაკი ქუთელია. რძლები: კასიანე, აგრაფინა ფაცაციები, მარგო მალანია შვილიშვილები: გიორგი, ირაკლი, დისშვილები: ზაირა ზაქარაძე, ნორა, ციალა, გოგი შურღულაიები, ძმისშვილები: დათო, რეზო მალანიები, მაზლიშვილები: მადონა, სვეტლანა, იზოლდა, ია, თომა, მურთაზი, ჯუმბერი თამაზი, ბორისი, კანდიდი, ნოდარი ფაცაციები. მზახლები: მერი, კოლია ქუთელიები. ბიძაშვილები: ტატიანა ვლადიმერი ალიოშა ძიულომაიები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**მავრა (მანია) პართენის ასული ფაცაცია-მალანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 აგვისტოს დაკრძალვა 11 აგვისტოს გამოსვენება 5 საათზე ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას (ი. ქ. კ.) 10 დასაფლავება ს. რიყეში.

---

რესტორან „ოდიშის" კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

**მარგო (შუშანიკა) ლავრენტის ასულ ზაქარაია-ბოხუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ცურუ, მეუღლე ნაირა, შვილები: რამაზი, ზაზა. დები: ეთერი, გულისა, ძმები: ჟორჟი, იროდი, ალიკო, არონი, რძლები: ლალუ, ლილი, ციალა, ზაირა, ელიზავეტა. მზია, ზოია, ნუნუ, ლალა, ნონა. ძმისშვილები: მურმანი, გია, ზურაბი, გოგია, თალიკო, მზია, სვეტა. ხათუნა, ლელა, ბიჭუნა, ელისო, მაკა, ეკა, პაატა. სიძე ვაჟა კვარაცხელია, დისშვილი: დათო კვარაცხელია. ბიძები: თაათზი გაბისონია, ილარიონ დარსალია, ბიძაშვილები: ლენა, არჩილი, ბაბუცა, არველოდი. სიმამრი ლიო ჯღარკავა, სიდედრი ჟუჟა პერტაია, ცოლისდა ლეილა ჯღარკავა, ცოლისძმები დემური, ჯემალი, ამირან ჯღარკავები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან.

**კაკო (მამანტი) დომენტის ძე გაბისონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7 აგვისტოს დაკრძალვა 8 აგვისტოს ოდიშში, გამოსვენება კალინინის უბანი.

---

დედა ნორა, მეუღლე ნარგიზა. დები: ციური, მადონა, ჩიტო. ძმა კუკური. რძალი ნაზო. სიძეები: ანზორი ჯალაღონია, მურმან ჯიქია, ბონდო გვასალია. სიდედრი ნინა, სიმამრი დათიკო ქობალიები. დეიდები: თათუშა, გრაშა, იადონი. ბიძები ნექტარი ბულია, კოკი გვახარია კაკო ქირია, არველოდი ჭითანავა. ბიცოლები: ვენია, ნათელა ბულიები. ნათელა ფაჩულია. ძმისშვილები: ჯილდა, რომეო. დისშვილები: მარინა, დარეჯანი, ბესიკი ჯალაღონიები. დევიზი, ინგა, რიტა ჯიქიები. ირინა, დათო გვასალიები. ცოლისძმები: ნოდარი, რეზო ქობალიები. ცოლისდა ნანული. ქვისლი მარლენ ფარცვანია. ბიძაშვილები: მურმანი, ტერენტი, ველოდი, როინი, ტუტუ, რაისა, ვარგინა, სულიკო ბულიები. ბროლისა ფიფია. დეიდაშვილები: ნოდარი, ანზორი, რენო, ცაცი ბოხუები. დათიკო, ვაჟა, აქენკა შონიები. ლულიკო გვახარია. რამინი, რევაზი ქირიები. ველა, ლელა ჭითანავები ახლო ნათესავებით იუწყებიან

**იანურ კაპიტოს ძე ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 აგვისტოს დაკრძალვა 11 აგვისტოს. ნაწულუკუს სასაფლაოზე.

---

შვილები თალიკო, გურამი, რძლები ციალა ჩაჩიბაია, ნანი ფაცია, შვილიშვილები: მაია, გოგი წითლიძეები, შვილთაშვილიშვილები გოჩა, დათო, ირაკლი, თამთა, ნინო. დები ზინა თამარა გეთიები დისშვილები ნორა ცანავა. ლამარა ჭკადუა, ძმისშვილები: ვალიკო, ვანო, ინდიკო. გურამი, ლუშა. გურამი, ნაირა, კლარა. ინეზა. მულები ძაბა. ანიჩქა წითლიძეები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალენტინა (ნოკოლი) სამსონის ასულ გეთია-წითლიძის**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 6, 7 აგვისტოს. დაკრძალვა 8 აგვისტოს. ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ყუფუნიას 36.

---

მეუღლე ბლიოშა, შვილები: ბაჩუკი, ნანა, გარდავები, ძმა ბონჩია ჯიჯიხია. რძლები: ლამზირა ჩახაია, ლეილა კუკავა, ნათელა პაჭკორია, ნანული კეზუა, მარინა ცანავა. სიძე: ნოდარი კუხალეიშვილი. შვილიშვილები: სალომე, ანნა. მამიდა მარო ჯიჯიხია, ძმისშვილი გოგი ჯიჯიხია, მამიდაშვილი გოგონა ბასილაია, ბიძაშვილები: თინა, კოტე ჯიჯიხიები. დეიდაშვილები: დოდო, რეზო შენგელაიები. მულები: გული, ნუცა, მაზლი: ლავრენტი გარდავა, მზახლები: გული, ვალიკო ჩახაიები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ნუნუ ძაგულიას ასულ ჯიჯიხია-გარდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 აგვისტოს დაკრძალვა 10 აგვისტოს სოფ. ცაიშში.

---

შვილები: ციალა, გონელი, ზოია, ვალერი, ბორისი, რამაზი, გია, ნუგზარი ნემსიწვერიძეები, რძლები ზაირა ფიფია, მარინა შევჩენკო. დოდო კუპრავა, სვეტა ჯანაშია, ნანა კოდუა. სიძეები: ზიგფრიდი სართანია ალიონი ჩხეიძე, ვლადიმერი ჭოჭუა. შვილიშვილები: ელიკო, იომა, ოლიჩქა, ზვიადი სართანიები. ალბერტი, მაია, ნანა ჩხეიძეები. ტარიელი, თრიდონი ჭოჭუები, სვეტა, ფატიმა, მაკა, ლიკა, იკა, სალომე, ქრისტინე, დიმა, იანა ეროკო, რეგინა ნემსიწვერიძეები. ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**თეოფილე სპირიდონის ძე ნემსიწვერიძის**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 7, 8, 9 აგვისტოს, დაკრძალვა 10 აგვისტოს გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გაგარინის ქ. 92 დან.

---

მეუღლე მამია, შვილები: გურამი, ჯამბული, გოგი, ამირანი, ელგუჯა, ნანა და ბაჩუა, მაზლი გვაძი. შვილიშვილები: ბესიკი, გოჩა, კახა, ლელა, მარინა, მაია, ეკა, მაკა, თამარი, სოფიკო, დათო, რუსიკო მიხო, ლაშა, ეკა, ნინო, გიორგი, მარიკა. რძლები: ლამარა ფართალია. ფაცია. ჩაჯაია, ჭუჭულია დგებუაძე, ციცო მამინოშვილი, ეთერი ნორაკიძე, ნუნუ შელია, ნარგიზა ცხაკაია, ზაირა ცირგაია. ძმისშვილები, ცისანა, ნინო, დარიკო, ბერდია და გია. დისშვილები ლეილა, ზურაბი ჩხოლარიები. სიძე ჯონი ბოკუჩავა იუწყებიან.

**მერი (ხუხუტი) სოლომონის ასულ ჭგერენაია-ანჩაბაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 აგვისტოს, დაკრძალვა 10 აგვისტოს, სოფ. განმუხურში, გამოსვენება 18 საათზე.

---

შვილები ლუიზა, გივი ციმინტიები, ნუნუ, რამინი, ავთანდილ წულეისკირები, რძლები ვერა, ოლღა ციმინტიები, ნანი, მაგული წულეისკირები, ნატო ქირია, სიძეები ვალიკო კემულარია, თენგიზ კალანდია, ნოკო, გოგოლი, რევაზ ბუაძე, შვილიშვილები ნატო ვეკუა, თემურ, ნატა კემულარიები, კირილე ციმინტია, ოლია. სერგო, დავით, ნინო წულეისკირები, დარიკო, ნონა, მანანა გოგოლები. შვილთაშვილიშვილები მაკა, ნინო, მიშიკო, სანდრო, კოკა, დათო, საბა, მაზლიშვილები თინათინ, სულიკო ციმინტიები, მული ტატიანა ციმინტია, მულიშვილები ნუნუ, კარლო კოკელაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა თეიმურაზის ასული ფიფია.**

პანაშვიდი 7, 8, 9 აგვისტოს 19 საათზე, დაკრძალვა 10 აგვისტოს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება რუსთაველის ქ. № 122-დან 17 საათზე.

---

დედა ნათელა, ბებია ნორა. ძმა ნუგზარი, და ნატო. რძალი მანანა გვასალია, ძმისშვილები: ნუკრი, თამრიკო კანკიები, მამიდები მედიკო. ვერიჩქა, დეიდები ვალენტინა, ლენა, ბიძიები გურამი, დომენტი კანკიები დავითი ზარანდია, სევერი სამუშია, ბიცოლები ეთერი მერი. ელისო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ემზარ ჯინიკოს ძე კანკიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 6, 7 აგვისტოს, დაკრძალვა 8 აგვისტოს სოფელ გრიგოლიშში.

---

შვილები: ციალა, ნელი, რადიონი, რაფიელი, გონელი. რძლები: ნონა, ლიანა, ნაირა, ციცა, ნათელა, ქსენია. სიძეები: შოთა კვირკველია, გურამი კუკავა. მულები ოლია ნუცა, ქეთინო, შუშანიკა. მაზლი მიშა. შვილიშვილები, შვილთაშვილიშვილები ახლო ნათესავებით იუწყებიან

**საშა (ბუტა) ანდრონიკეს ასულ გერგაია-ჯაბუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 აგვისტოს დაკრძალვა 11 აგვისტოს სოფ. ოდიშში.

---

ზუგდიდის რაიონის მილიორაციის საწარმოს მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ თანამშრომელს ბონდო ჭითავას მეუღლის

**თალიკო ნიკოლოზის ასულ პაჭკორია-ჭითავას**

გარდაცვალების გამო.

---

მზახლები მერი, კოლია, შვილებით რიტა, ნინო, მურმანი ქუთელიები, სიძე ნუკრი ჯაბუა ოჯახებით იუწყებიან

**მაირა პართენის ასულ მალანია-ფაცაციას**

გარდაცვალებას.

---

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2-38 69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21 78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 5000 შეკ. № 3238